ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2506 ხუთშაბათი, 27 მაისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2506

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ეკატერინე სტეფანეს ასული კაკალაშვილი დიდის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასის დისწულის

პეტრე იოსების ძის უმიკაშვილისას

მიცვალებულს გაასვენებენ სადგომიდან (თეატრის მოსახვევი, № 6) პარასკევს, 28 მაისს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში და იქიდან წირვის შემდეგ წაასვენებენ დასაკრძალავად კათოლიკეთა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ოთხშაბათს და ხუთშაბათს საღამოს 7 საათზე. (რ. 3—2)

Feriencolonien. **„პატარა-ცემი“-ს** Colonie des vacances.

საზაფხულო სამყოფი

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის,

ზედ ბაკურიანის რკინის გზაზე, ბორჯომის მახლობლად, მთა ადგილზე, ფიჭვნარში, 4,400 ფუტის სიმაღლეზე.

მიიღებიან ორივე სქესის მოზარდნი ასაკით 8—16 წლამდე, სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული, ნაავადმყოფარი, მადა-დაკარგული, ქაობის ციებით შეპყრობილი ბავშვები და საერთოდ ისინი, ვისაც ესაჭიროება მოღონიერება და სხეულის გამაგრება.

წამლობა განსაკუთრებით ბუნებრივი და ჰიგიენური: მთის წმინდა ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, ყოველგვარი ვარჯიშობა, წყლით ექიმობა და სხვა.

არ მიიღებიან მწოლიარე ავადმყოფი, გადამდებ სენით და ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებული, არც ის, ვისაც რომელისამე მიზეზისა გამო მთა ადგილს ყოფნა არ არგებს.

ხანა: ორი თვე, 15 თიბათვიდან 15 მარიამობისთვემდე.

მსურველთ გაეგზავნებათ ცალკე წიგნაკი დაწვრილებითი ცნობებით მოთხოვნილებისათანავე. პირადად ან წერილობით შეიძლება მიჰმართონ ექიმს ვ. ღამბაშიძეს, თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 46. (0—12)

ქართული თეატრი. შაბათს, 29 მაისს.

◆ არტისტის **ვასო აბაშიძის** სასარგებლოდ ◆

ქართულ თეატრის არტისტების მიერ

წარმოდგენილი იქნება: I **ცხოვრების გარეშე** კომ. 4 მოქ. თხზ. პროტოპოპოვისა.

II. ახალი პიესა **დარისპანის გასაჭირი** სცენები 1 მოქ. თხზ. დ. კლდიაშვილისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი საფაროვ-აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნებიერიძე, ჯავახიშვილი, დავითიშვილი, რონელი; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, კ. მესხი, სვიმონიძე, შათირიშვილი, შალიკაშვილი, მოსკოველი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე. (5—უ.—2)

ამა წლის 30 მაისს „ბანკის ბაღში“ (თავად-აზნაურობის ქარვასლა)
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გაიმართება

სეირნობა

საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, გაიმართება საბავშო გასართობი, კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა და **ცეკვა.**

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). თუ წვიმა იქნა, სეირნობა გაიმართება 5 ივნისს. (უ. 0—)6

ვერაზე, ოლგინის ქუჩის ბოლოში **იყიდება ნაწილ-ნაწილად** **მიწა** კარგის პირობებით. მსურველთ დაწვრილებით ცნობები შეუძლიანთ გაიგონ: სასახლის ქუჩაზე მ. გ. გულასპოვთან და ოლგინის ქუჩაზე № 18 რ. დ. ფორ ქოვთან. (10—9)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.

მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.

არ. მ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკევ. 1—3 საათამდე.

პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

მ. მ. ხობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ჰხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 12—2 საათ. საღ. 6—7 ს. ყოველ დღე, გარდა სამშაბათისა. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე საღამოთი 5—7 საათამდე ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—12)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
(კანისა და ვენერიული)
დილის 9—10 ს. საღამოს 7—9 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხეილის პროსპექტი № 123. (თვ.—0—87)

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე. ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდ. და საღამოობით 5—7-მდე.

რედაქციისაგან

ვაცნობებთ ხელის მომწერთ, რომ ვისაც ჟურნალ-გაზეთის დასაკვეთად შემოტანილი აქვს მარტო „ცნობის ფურცლისთვის“ 3 მან. და 5 ან 6 მან. „მოამბე“-„ცნობის ფურცლისთვის“, დასამატი ფული უნდა გამოგზავნოს მაისის გასვლამდის, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემანი 1-ლ თიბათვიდან აღარ გაეგზავნებათ.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 მაისი

პერმი. წავიდა შორეულ აღმოსავლეთში წითელ ჯვრის ადგილობრივ გამგეობისაგან შედგენილი მოწყალების დათა რაზმი.

ირკუტსკი. გზათა მინისტრმა დაათვალიერა ბაიკალის გარეშამო რკინის გზაზე მუშაობა და 24 მაისს დაბრუნდა სოფ. ლისტვენიჩნოში. მინისტრი ივნისის პირველ რიცხვებში აპირებს პეტერბურგში დაბრუნებას.

ბლაგოვეშჩენსკი. სობოროში გადახდილ იქნა პარაკლისი ოლქის უფროსისა და სამოქალაქო და სამხედრო უწყების მოხელეთა თანადასწრებით. ბანაკში პარადი გაიმართა.

26 მაისი

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს, 24 მაისს: „ფინხუანჩენისკენ ცვლილება არ მომხდარა. იაპონიის რაზმი, რომელიც სადგურ ვაფანგოუს სამხრეთით, სოფელ იუძიატუნთან, პოზიციაზე იდგა, 22 მაისს სადგურ ვაფანდიანისკენ წავიდა. ამ რაზმს სდევნიდნენ ჩვენი ცხენოსნები. 21 მაისს, დაზვერის დროს, საიმაძის მიდამოებში ჩვენ რაზმს იაპონიის ქვეითა ჯარმა სროლა დაუწყო. მალე ჩვენმა ჯარმა შეაჩერა იაპონელთა წინსვლა. სროლამ გასტანა $1^1/_2$ საათამდე. ჩვენ დავკარგეთ: ორი სალდათი მოგვიკლეს და ექვსი დაგვიჭრეს“.

ტოკიო. ადმირალი ტოგო იუწყება: ტალიენვანის ბუხტის გაწმენდას ნაღმებისაგან ნაყოფიერად განვაგრძობთ, თუმცა ზღვა განუწყვეტლივ ჰღელავს. 21-დან 24 მაისამდე ვიპოვნეთ და ავაფეთქეთ 41 ნაღმი. პტყელძირიან გემებისათვის უკვე ვიპოვნეთ უშიშარი ფარვატერიო. იაპონიის იმ ჯარის ნაწილი, რომელიც დაგუშანში გადასხეს, 23 მაისს თავს დაეცა ყაზახთა რაზმს იანძიატუნის მახლობლად, ცინჯოუს გზაზე, დაგუშანის ჩრდილოეთ-დასავლეთით, ათის კილომეტრის მანძილზე.

ჩიფუ. („რეიტ. სააგენტო“.). როგორც ეტყობა, იაპონელებს 24 მაისს, ღამე უცდიათ ხმელეთიდან იერიშის მიტანა პორტ-არტურზე. ჩინელთა ნავზე დილის 7 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდე სროლის ხმა ესმოდათ თურმე პორტ-არტურის ჩრდილოეთიდან. ეს ნავი დალნის სამხრეთით მდგარა, სამის მილის მანძილზე. ორ საათზე ნავი შორს წასულა და სროლის ხმა აღარ გაუგონია. შეიძლება იაპონელებმა განიზრახეს პორტ-არტურზე იერიშის მიტანა როგორც ხმელეთით, ისე ზღვით ერთსა და იმავე დროს; რუსებმა კი, შენიშნეს თუ არა ესა, ესკადრა გაჰგზავნეს ზღვაში იაპონიის ფლოტთან შესაბრძოლებლად, რომ შეძლება არ მიეცა ფლოტისთვის ხმელეთზე მყოფ ჯარს დახმარებოდა. აქ ჰფიქრობენ, რომ 24 მაისს, საღამოთი, საზღვაო ბრძოლა უნდა მომხდარიყო პეჩილიის ყურეში. გემი მოვიდა და ამ გემზე მყოფნი ამბობენ, რომ გვესმოდა ზარბაზნების სროლის ძლიერი ხმაო. სხვა წყაროებიდანაც მოდის ამ გვარი ცნობები. ჩიფუს მახლობლად გორებზე მყოფ მცხოვრებთაც გაუგონიათ ზარბაზნების სროლის ხმა; დაუნახავთ აგრეთვე ზღვაში აპრიალებული ალი. ტალიენვანში ხმა დადის, რომ ჯავშნიანი გემი „იაშიმა“ ნაღმს წააწყდა და ჩაიძირაო.

მუკდენი, 25 მაისი (სააგენტოს საკუთ. კორესპ.). დედოფალის ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადების დღეს ჯარის მთავარ სადგომში პარაკლისის შემდეგ გაიმართა პარადი. პარადს დაესწრნენ დანიისა და შეერთებულ შტატების სამხედრო აგენტები.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. ფრანგული გაზ. „ტან“-ი სწერს: ამ ჟამად სამხედრო მოქმედების ასპარეზზე იაპონელებს სამ არმიაში სულ მცირედ 200 ათასი კაცი ეყოლებათ. იაპონელებს კიდევ მოჰყავთ ჯარი, მაგრამ ის-კი ძნელი სათქმელია, რამდენს გადმოიყვანენ. რუსებს ბაიკალის ტბას იქით 200 ათასი ჯარის-კაცი ჰყავთ; ამათგან 28 ათასი რკინის გზას იცავს, 40 ათასი ციხეებში დგას, ერთი დივიზია ვლადივოსტოკსა და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კორეიაშია, გენ. მიშჩენკოსა და გენ. რენენკამფის ყაზახთა დივიზიები იაპონიის ჯარის ფრთებს ახლო მოქმედებენ. ასე რომ გენ. კუროპატკინს სულ 120 ათასი კაცი ჰყავს თავის ხელთა. („ნ. ვ.“),

„ნ. ფრ. პრესე“-ს 19 მაისს დეპეშით ატყობინებენ ლონდონიდან: გენერალი კუროპატკინი სამხრეთისაკენ წავიდა პორტ არტურის საშველადაო. იაპონიის პირველ არმიის უფროსმა გენ. კუროკიმაც ჩრდილოეთისაკენ გაილაშქრა; იაპონელების რაზმებს ფინხუანჩენის ჩრდილოეთ-დასავლეთით დიდი შეტაკება მოუვიდათ რუსის ყაზახებთან. გენ. კუროკიმ კუანდანსიანიდან მუკდენისაკენ გაგზავნა ჯარი. კუანდანსიანიდან 20 მილის მანძილზე ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ, აიხანზს ახლო ამ ჯარს რუსის კავალერიასთან მოუხდა ბრძოლა. ვენის სამხედრო წრეებს არა სჯერათ, რომ გენ. კუროპატკინს დიდი ჯარი გაეგზავნოს სამხრეთისაკენ. გენ. კუროკიმ, ალბად, გაიგო, გენერალ კუროპატკინის განზრახვა და ამიტომ რუსების სუსტ მარცხენა ფრთაზე დასაცემად ემზადებაო. („ბ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ი ირწმუნება, გენ. კუროპატკინს ბრძანება მოუვიდა პეტერბურგიდან, დაუყოვნებლივ სამხრეთისაკენ გაილაშქრეთ და იაპონიის ჯარს შეებრძოლეთო. რუსის ჯარი სამხრეთისაკენ პორტ-არტურის საშველად-კი არა, ჩინელ ხალხის დასაშინებლად და რუსეთის სახელის აღსადგენად მიდისო.

„დეილი მეილ“-ს შეუტყვია: ამას წინად გენ. კუროპატკინმა და ნამესტნიკმა ალექსეევმა დიდ ხანს ითათბირეს და დაადგინეს, რუსის ჯარის ნაწილი სამხრეთისაკენ გაიგზავნოსო. გაზეთი ჰფიქრობს, იქნება გენ. კუროპატკინი ისეთსავე განსაცდელში ჩავარდეს, როგორშიაც 34 წლის წინად მარშალი მაკმაგონი ჩავარდა, როცა ქალ. მეცის საშველად წავიდაო: სედანს ახლო გერმანელებმა წრე შემოავლეს მაკმაგონს და მთელი იმისი ჯარი დაატყვევესო. გენ. კუროპატკინი რომ სამხრეთისაკენ წავიდეს, გენ. კუროკი რუსის ჯარის მარცხენა ფრთას დაეცემა და გენ. კუროპატკინს გზას მოუჭრისო. („რ. ლ.“).

„ტაიმს“-ის საგანგებო კორესპონდენტი სწერს: ამბობენ, ლიაოიანიდან რუსის ჯარი წამოვიდა პორტ-არტურის საშველადაო. არა მგონია, ეს მართალი იყოს. გენ. კუროპატკინმა და იმისმა შტაბმა კარგად იციან, რა დიდი დაბრკოლება დაჰხვდება გზა და გზა რუსის ჯარს და რა საშიში საქმეა სამხრეთისაკენ გალაშქრება. ამას გარდა მანჯურიის ჯარი იმიტომაც ვერ წავა სამხრეთისაკენ, რომ გენ. კუროკი მუკდენისაკენ აპირობს გალაშქრებას. („მ. ვ.“)

გერმანულ პრესას არა სჯერა, რომ გენ. კუროპატკინს სამხრეთისაკენ გაელაშქროს. გერმანიის სამხედრო წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გენ. კუროპატკინი დღესაც ლიაოიანში დგას და გენ. კუროკის თვალს არ აშორებს; სამხრეთისაკენ კი, ალბად, რომელსამე რაზმს გაჰგზავნიდაო. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი ირწმუნება: ნამდვილად გავიგეთ, რუსის ჯარის მთავარ-სარდალმა ბრძანება გამოსცა, ლიაონიანიდან, მუკდენიდან და ხარბინიდან ქალები და ბავშვები სხვა უფრო სამშვიდობო ადგილებში გადაასახლეთო; ესეთი განკარგულება აშკარად ჰმოწმობს, რომ რუსები დღემდე უკან დახევას ჰფიქრობენო.

ბელგიელი სამხედრო კრიტიკოსებიც ასეთსავე აზრს ადგანან. ესენი ამბობენ; გენ. კუროკის არმიის ნაწილმა ლიაოიანის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ მხარეს ქალ. საიმაძი დაიჭირაო. აქედან სჩანს, რომ იაპონელებს ლიაოიანზე გალაშქრება კი არა, სულ სხვა რაღაც საქმე უდევთ გულში. საიმაძიდან

პირდაპირი გზა მიდის მუკდენისაკენ; იაპონელები ამ გზით წავლენ და გენ. კუროპატკინის ჯარს ფრთიდან დაეცემიანო. („რ. ლ.").

ფრანგული გაზ. „პტი ჟურნალ"-ი იუწყება: პეტერბურგში კერძო ცნობა მიიღეს, ვითომ იაპონიის პირველ არმიის უფროსი გენ. კუროკი ძლიერ ავად გამხდარიყოს, მაგრამ მხნე, დაუღალავი იაპონელი სარდალი მაინც თითონვე უფროსობს თავის არმიას და ყველა საქმეს თითონ ადევნებს თვალ-ყურსაო. („ნ.").

იაპონელების აგენტებმა შეატყობინეს გაიპინგის (გაიჩოუს) მცხოვრებლებს, ქალაქიდან სხვაგან წადით სადმე, მანდ ჯარის გადმოყვანა გვწადიან და იქნება ქალაქს ზარბაზანი დავუშინოთო. („რ. ლ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ს ატყობინებენ ტიანძინიდან: ხუნხუზები იარაღსა და პატრონებს ართმევენ ჩინელებს, დიდ რაზმებს ჰკრებენ და მუკდენისაკენ მიდიან. ხმა დადის, ამ ხუნხუზებს რამდენიმე იაპონელი მეთაურობსო; იაპონელებს მუკდენსა და ხარბინს შუა რკინის გზის დანგრევა სწადიანთო („რ. ს.").

„რუსკი ინვალიდ"-ი სწერს: 18 აპრილს, ტიურენჩენთან ბრძოლის დროს, 3 რუსის ქალმა, აფიცრის ცოლებმა, დიდი გმირობა გამოიჩინესო. სალდათის შინლები წამოისხეს, ცხენებზე შესხდნენ, ბრძოლის ველზე დაჰქროდნენ და დაჭრილ რუს მეომრებს დახმარებას უწევდნენო.

პორტ-არტური. „ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი იუწყება ტოკიოდან: ამბობენ, იაპონელები 7 ივნისს ხმელეთიდან და ზღვიდან იერიშს მიიტანენ პორტ-არტურზეო. იაპონიის მთავარმა შტაბმა პორტ-არტურის შტურმის პლანი შეადგინა, მაგრამ იმპერატორს ჯერ არ დაუმტკიცებია, რადგან ამ პლანით იაპონელებს 5 ათასი მოკლული და დაჭრილი კაცი უნდა დაეკარგოთ შტურმის დროს. აქაური სამხედრო წრეები მაინც ბეჯითად თხოულობენ: პორტ-არტური უსათუოდ შტურმით ავიღოთო. („რ. ს.").

„დეილი ქრონიკლ"-ს კიდევ ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები 15 ივნისს (ახ. სტ., ჩვენებურად 2 ივნისს) დაიწყებენ პორტ-არტურის შტურმსაო. უცხოელ კორესპონდენტებს ტოკიოდან 10 ივნისს (ახ. სტ., ჩვენებურად 28 მაისს) გაჰგზავნიან კვანტუნის ნახევარ-კუნძულზე, რომ ციხის შტურმს დაესწრნენო. იაპონელებს იმედი აქვთ, პორტ-არტურს 21 ივნისს (ახ. სტ., ჩვენებურად 8 ივნისს) ავიღებთო. („ნ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: აქ ჰფიქრობენ, რუსებს პორტ-არტურში, მეზღვაურებიც რომ ვიანგარიშოთ, სულ 30 ათასი ჯარის-კაცი ეყოლებათო; ასე რომ პორტ-არტურში ბლომად ჰყავთ ჯარი და ამ ციხის შტურმით აღება მეტად ძნელი იქნებაო. პორტ-არტურს ზღვის მხრიდანაც, 15 მილის მანძილზე, 20 ძლიერი ფორტი იცავს. მით მაინც იაპონელები დარწმუნებულნი არიან, ამ ძნელ საქმეს უეჭველად ავასრულებთო. ეს ისეთი გამარჯვება იქნება, რომ მერე გინდ გენ. კუროპატკინმა მუკდენთანა და გირინთან აჯობოს კიდევაც ჩვენს ჯარს, მაინც პორტ-არტურის აღებას თავისი მნიშვნელობა არ დაეკარგებაო. („მ. ვ.").

„გერმანელი მეზღვაური აფიცერი პოსტი სწერს „ლოკალ ანცაიგერ"-ში: იაპონელები ამ დღეებში პორტ-არტურის ახლო დიდ ზარბაზნებს დასდგამენ და ციხის ფორტებს ყუმბარას დაუშენენ; ჯერ ამ ფორტებს დააზიანებენ, მერე შტურმით აიღებენ ციხესაო. („რ. ვ.").

„დეილი ტელეგრაფ"-ი სწერს: ვუზუნის ნავთ-სადგურში (ჩინეთში) ამ ჟამად სამი ნორვეგიელი გემი მოვიდა და პორტ-არტურის ესკადრისათვის ქვანახშირი მოიტანაო. ჰფიქრობენ, ამ გემებს უსათუოდ იაპონელები დაიჭერენო.

ბრძოლა ცინჩოუსთან. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი სწერს: ცინჩოუს პოზიციების აღება მხოლოდ იპონიის ჯარს შეეძლო. ვერც ერთი სხვა სარდალი ვერ გაჰბედავდა ცინჩოუს შტურმით აღებას, მაგრამ გენ. ოკუმ გაბედა, რადგან თავის ჯარის საოცარ გულადობის იმედი ჰქონდაო; რუსებიც ძლიერ მამაცად იბრძოდნენ, მაგრამ ბოლოს იაპონელებმა სძლიეს და პოზიციები დაატოვებინესო. („რ. ს.").

გერმანულ გაზ. „ფოსიშე ცაიტუნგ"-ის სამხედრო თანამშრომელი გატაცებით აქებს იაპონელ ჯარის-კაცებს. თანამშრომელი სწერს: რუსის ჯარის-კაციც მეტად ყოჩაღად იბრძვის. რუსის სალდათი თავგანწირულებითა, მამაცობითა და მედგრობით პრუსიის მეფის ფრიდრიხ დიდის განთქმულ გრენადერებს არ დაუვარდება; ასეთი სანაქებო ჯარი თანამედროვე სამხედრო ხელოვნების თანახმად გამაგრებულ პოზიციებზე იდგა; ამ პოზიციებს არაფერი არ აკლდა, უკეთესად გამაგრება აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაინც იაპონიის ჯარმა გაიმარჯვა. 1877 წ. რუსის ჯარი რამდენჯერმე ეცადა პლევნას აღებას, დიდი გმირობაც გამოიჩინა, მაინც ფრონტიდან (წინადან, პირდაპირ) შტურმით ვერ აიღო. იაპონელებმა-კი ეხლა ეს შეუძლებელი საქმე შეიძლეს და ცინჩოუს პოზიციები ფრონტიდან აიღესო... („პ. ვ.").

„დეილი ქრონიკლ"-ი იუწყება: წინად ხმა გაავრცელეს, ვითომ ცინჩოუსთან ბრძოლის დროს იაპონელებს გენერლები დაუჭრესო; ეხლა გამოირკვა, რომ ეს ხმა ტყუილი ყოფილა. ამ ბრძოლის დროს იაპონელებს არც ერთი პოლკოვნიკი და გენერალი არ დაეკარგავთო. („რ. ს.").

ახალი ამბავი

◆ ტფილისის გუბერნატორმა **მანჯურიის ჯარის** მთავარ-შტაბისაგან მოწერილობა მიიღო. შტაბი სწერს: სამხედრო მინისტრის განკარგულებით, შტაბთან დაარსდა ცალკე განყოფილება ომში მოკლულ და დაჭრილ აფიცერთა და ქვეითა ჯარის კაცთა შესახებ ცნობების შესაკრებად. ეს ცნობები გამოქვეყნებულ იქმნება „რუსკი ინვალიდ"-ში. გარდა ამისა ყველა ცნობა გაეგზავნება გუბერნატორებს ნათესავთათვის საცნობლად. ამის გამო მთავარი შტაბი აცხადებს, რომ ამიერიდან მშობლებმა და ნათესავებმა შტაბს კი აღარ უნდა მიჰმართონ, არამედ ადგილობრივ გუბერნატორებსაო.

ტფილისის ქალაქის **თავს ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკოვს** მთავარ-მართებელმა ნება დართო სამსახურს თავი დაანებოს. გუშინ, 26 მაისს, თავადი გამოეთხოვა თვით-მმართველობის მოხელე მოსამსახურეებს. ნაშუადღევის 2 საათზე გამგეობის სადგომში შეიკრიბნენ გამგეობის წევრნი, ყველა განყოფილების მოხელენი, სამეურნეო-სავაჭრო პოლიციის აგენტები და სხვანი. მოურავმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და, სხვათა შორის, სთქვა, სულით და გულით მოწადინებული ვიყავი განმეგრძო სამსახური, მაგრამ ავადმყოფობამ მაიძულა ხელი ამეღო მუშაობაზეო. მოურავმა მადლობა გადაუხადა თანამოსამსახურეთ.

◆ ტფილისის ქალაქის საბჭოს შვიდმა ხმოსანმა გადასცა გამგეობას საბჭოში წარსადგენად განცხადება. ხმოსნები სწერენ, თვითმმართველობის უმთავრეს საზრუნავს შეადგენს **ქალაქის მიწა ადგილის** მოვლა-პატრონობა. ამისათვის საჭიროა გამორკვევა ამ ადგილების რაოდენობისა, გეგმების შედგენა, ადგილების შემოკავება და თვალ-ყურის გდებაო. დასასრულ, რადგან ქალაქის გამგეობა ვერ ასწრებს ადგილების მოვლა-პატრონობას, სთხოვენ საბჭოს, არჩეულ იქნას განსაკუთრებული შტატი მოხელეთა მიწის მზომლისა, მხატვარისა და მიწების მცველებისაგან. ამ შტატს უნდა დაევალოს ადგილების ინვენტარის შედგენა, გეგმის შემუშავება, თვალ-ყურის გდება და სხვა საქმეები.

◆ როგორც ვიცით, უმაღლესმა მთავრობამ დაამტკიცა **სამკურნალო ნაწილის** გამგეობის მიერ ახლად შემუშავებული პროექტი საავადმყოფოებისა და იმათ მართვა-გამგეობისა ამიერ კავკასიაში. გუშინ, 26 მაისს, სამკურნალო გამგეობამ გაუგზავნა ტფილისის გუბერნატორს ეს ახლად დამტკიცებული წესდება და სთხოვა, გვაცნობეთ, თქვენის აზრით რომელი მუხლი ინსტრუქციისა საჭიროა გამოაკლდეს და რომელი ჩაემატოს იმ წესდებაში, რომელიც 1884 წელს, 29 თებერვალს, მთავარ-მართებლის აქ არ ყოფნის დროს დაამტკიცა პეშჩუროვმაო.

◆ მთავარ-მართებლის კანცელარიამ აცნობა გუბერნატორს, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობის შუამდგომლობა შესახებ დახმარების აღმოჩენისა ჯარის სადგომების დასაქირავებლად სხვა გუბერნიის ქალაქის გამგეობების შუამდგომლობებთან ერთად გაგზავნილია ჯერ ისევ წარსულ წლის მარიამობისთვეში შინაგან საქმეთა სამინისტროში და ჯერაც პასუხი არ მოსულაო.

◆ 1903 წელს ტფილისში არსებობდა **სამრევლო-საეკლესიო სკოლა**. ამ სკოლ ბში სწავლობდა 1706 მოსწავლე. ამათ მართლმადიდებელი იყო 1349, სომეხ-გ გორიანი—222 და სხვა სარწმუნოებისა— საეპარქიო სკოლების შესანახავად გადად ლი იყო 25,000 მან.

◆ სამრევლო-საეკლესიო სკოლების ქის მეთვალყურემ სთხოვა ტფილისის ქა ქის გამგეობას, უშუამდგომლოს საბჭოს ნაშე, რომ 1905 წლიდან ფულით შემწ ბა აღმოუჩინოს ტფილისის **სამრევლო-სა კლესიო სკოლებს**.

◆ როგორც უკვე გვქონდა აღნიშნულ ტფილისსა და მოსკოვს შუა იმოქმედებს გ საკუთრებული ტელეგრაფი. ამ ჟამად ტ ლისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორაში კაცს ასწავლიან დეპეშების გადაცემას უ სონის ჩქარ-გადამცემ სისტემის აპარატით.

◆ ინჟენერი მეცი, რომელიც გამოწვ ლია **წალკის წყლების** გამოსაკვლევად, გ შინ-წინ წავიდა ტფილისიდან წალკაში წ როების დასათვალიერებლად.

◆ **გორის მაზრაში,** როგორც ოფიც ლურ ცნობებიდანა სჩანს, 1903 წ. 167, სული მცხოვრები ყოფილა. აქედან ქარ ლი 135374 სული, სომეხი—26428 ს ორივ სქესისა, რუსი—2145, ებრაელი 231 პოლონელი—513, სხვა ეროვნებისა—23 მთელს მაზრაში 75 სასწავლებელი ყო ლა, სადაც 3349 ვაჟსა და 1927 ქ უსწავლია. ამათში ქართველი ყოფილა 27 რუსი—949, სომეხი—506, თათარი— ებრაელი—192, სხვა ეროვნებისა—201. სასწავლებლებზე დახარჯულა 135,901 91 კ. ამ თანხიდან ქალაქისა და სოფლ მკვიდრთ დაუხარჯავთ 34,114 მ. 11 ხოლო ხაზინას 84,356 მ. 43 კ. სახ სათესი მიწა ყოფილა 82,712 დესეტ ვენახი—4367 დესეტინა. მთელ მაზრაში 79 ქარხანა ყოფილა, რომელშიაც უ შავნია 440 მუშას. გლეხობას დაუხარჯ სამღვდელოებაზე—9525 მან., საყდრ აგებაზე—5,366 მ. და 70 კ., სკოლ შენახვაზე—10731 მან., სასოფლო სამ თველოების და მის მოსამსახურეთა შენა ზე—46,236 მან. 67 კაპ., გზების [illegible] თებაზე—600 მან., სხვა ხარჯი—17[illegible]5 მ სულ კი 43,704 მ. 37 კ., სასოფლო თ ხა ამ მაზრის მცხოვრებთ ჰქონიათ 255, მან. 51 კ.

◆ შაბათს, 29 მაისისთვის, სასოფ სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშ კრება სატეხნიკო საზოგადოებისა. სხვათა შ კრებამ უნდა განიხილოს ხარჯთ-აღრიცხვა ს გადოებისა.

◆ ნახიჩევნის სოფლებში ამ რამდენ ხნის წინად ხალხს საკმაო და კარგის თვის კართოფილი მოსდიოდა. ამ უკანასკნელ 6 განმავლობაში კართოფილს რაღაც ავადმყ უჩნდება. გუშინ მცხოვრებთ თავიანთ წ მადგენლის პირით სთხოვეს სამეურნეო ს გადოებას, ასწავლოს თუ რამე წამალია ა ვალ წლიურ ზარალის თავიდან ასაცილებლ

ფელეტონი

ცოტა რამ ქართველ სტუდენტების შესახებ

ბევრი საყვედური გვსმენია ჩვენის სტუდენტებისადმი, უმეტეს ნაწილად სამართლიანი, ზოგიც უსამართლო*), მაგრამ ერთი მათგანი იმდენად ცხადი და ჭეშმარიტია, რომ თავის მართლების ილაჯიც კი არა აქვს არც ერთს ქართველს სტუდენტს: დიდი უმრავლესობა თითქმის სრულიად არ იცნობს მშობლიურს მწერლობას, დანარჩენნი—საყველ-ურად, და მხოლოდ თით-თროლას შეუძლიან თამამად სთქვას,—შესწავლილი მაქვს ქართული მწერლობა და თავისუფლად შემიძლიან სჯა-კამათი დედა-ენაზეო.

ასეთი შეუწყნარებელი გულ-გრილობა, რომ მეტი არა ვთქვათ, ჩვენის ახალგაზრდობისა დედა-ენისადმი მით უფრო სამწუხაროა, რომ მათი რიცხვი თვალსაჩინოდ მატულობს ყოველ წლობით, მხოლოდ მშობლიურ მწერლობის მოყვარულთა რაოდენობა კი თითქმის ერთი და იგივეა. თუ ამ 6—7 წლის წინად უმაღლეს სასწავლებელში მყოფ ქართველთა რიცხვი 300—400-მდე იყო, დღეს, 700—800-მდეა. დიდ სასიხარულოა, რომ ამდენი მცოდნე წევრი შეეძინება ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მოღვაწეობა იმის ნახევარ ნაყოფსაც ვერ გამოიღებს, რის გამოღებაც შეეძლებოდა, რომ მკვიდრ მშობლიურს ნიადაგზე ყოფილიყო დამყარებული: ეს ნიადაგი კი დედა-ენაა, და მისი არ ცოდნა, ან სუსტად ცოდნა შეუწყნარებელ დანაშაულად უნდა ჩაეთვალოს ყოველ შეგნებულ ადამიანს, მით უმეტეს, იმ ჯგუფს, თუ წრეს, რომელმაც მომავალში მეთაურობა უნდა გაუწიოს ჩვენს საზოგადოებას.

ბევრი არც კი დაიჯერებს, მაგრამ მე მაინც გულწრფელად მოგახსენებთ, რომ ჩვენის სტუდენტობის ოთხ მეხუთედს არამც თუ შესწავლილი არა აქვს ქართული კლასიკური თხზულებანი, წაკითხვითაც კი არ წაუკითხავთ მაგ. „ვეფხის ტყაოსანი", დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, ასე კასინჯეთ გრ. და ვახ. ორბელიანებისა, ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა და ა. ყაზბეგის თხზულებანიც კი.

ამდენი სტუდენტობა გვყავს სხვა-და-სხვა ქალაქში გაფანტული, მრავალი რამ ხდება ამ ადგილებში საყურადღებო ჩვენის მკითხველისათვის კერძოდ სტუდენტთა, თუ საზოგადო ცხოვრებაში, მაგრამ აბა შევეკითხოთ ჩვენს რედაქტორებს, რამდენს, ან რა ღირსების კორესპონდენციას იღებენ იმათგან? მეტად მცირესა და, რაც არის, ისიც იხრა მეათედი სრულიად გამოუსადეგად დაწერილი, რომ კაცი ვერას გაუგებს. უმეტეს ნაწილად გასწორებაც კი არ უხერხდება: უნდა აიღოთ ეს წერილები, წაიკითხოთ და როგორმე მიხვდეთ აზრსა; მერე თუ რამე ჭკვია შიგა, თქვენის სიტყვით დასწეროთ მისი შინაარსი და ისე მისცეთ დასაბეჭდათ. სირცხვილი არაა, უმაღლეს სასწავლებელში მყოფს ახალგაზრდას თავისი აზრის გამოთქმა არ შეეძლოს დედა-ენაზე?! სირცხვილი კი არა, ბევრად მეტიცაა, მაგრამ ვინაა გამკითხავი.

ღმერთმა დაგვიფაროს, ყველას ის მოვსთხოვოთ,—გინდათ, თუ არა, სწერე და კარგადაც სწერეო, მხოლოდ სრული ზნეობრივი უფლება გვაქვს ყველას მოვსთხოვოთ საფუძვლიანად შესწავლა და შეგნება მშობლიურ მწერლობისა.

იმდენად დავეცით და გავთახსირდით, რომ ყოველ სიღუხჭირეს ადვილად ვურიგდებით, თორემ სხვა რომელ საზოგადოებაში შეხვდებით ასეთ ყოვლად უმგვან მოვლენას: დედ-მამა ქართველი ჰყავდეს კაცსა, შუაგულ საქართველოში იზრდებოდეს და ქართულად ლაპარაკს კი ვერ ახერხებდეს! აბა, ერთი მიმოიხედეთ, ვნახავთ ამის მსგავსს რასმე სხვა, შეგნებულ ტომთა შორის. ასეთ ვაჟბატონს კარს უჩვენებენ და ისე გაისტუმრებენ გულ ამოძულებულს. ჩვენ კი როგორ ვიქცევით? ასეთ გადაჯიშებულ ახალგაზრდას თავაზსაც კი არ ვაცდით თავის მართლებას, ჩვენ მოვუბოდიშებთ ხოლმე,—ეს მშობლების ბრალია, ქალაქში სწავლობდაო და სხ. ამგვარ გულ დობით ჩვენვე ვუადვილებთ ახალგაზრდობას მეს,—თუ დედა-ენა არ გემარჯვება, მაინც თავს ნუ იწუხებ, უიმისოდაც იოლად ხვალო. ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ ას თველ ახალგაზრდათაგან იქნებ ერთმა მოახ ქართულად დაწყება და ქართულადვე დამთ ბაასისა, ისიც როგორის ქართულით!

იქნებ ვინმემ ბრძანოს,—რიგიანად ქართ შესწავლა არც ისე ადვილიაო; ჩვენი ბავშებ მნაზიაში სავალდებულო საგნების შესწ უნდებიან, უნივერსიტეტში—მეცნიერები მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება: თუ ვინმ სურვილი აქვს დედა-ენის შესწავლისა, სულ დად, თითქმის შეუმჩნევლად შეუძლიან აიღოთ, მაგ., ისეთი ახალგაზრდა, რომე მშობლებისა, თუ სხვა ხელმძღვანელთა ბის გამო საშუალო სასწავლებელში ყოფნის გურადღება არ მიუქცევია დედა-ენისათვის მოუმზადებელი მოხვდა უმაღლესს ს[illegible] ში, სადაც, სულ უკანასკნელი, ოთხ[illegible] უნდა დაჰყოს. განა გასაჭირი იქნება თითო საათი ყოველ დღე დედა-ენას მოან თუ უმაწვილი არამც თუ ლაპარაკობს, ყურ აქვს შეჩვეული ქართულისათვის, (და აბა ქართველ ბავშს არ ექნება შეჩვეული ყური ლაპარაკისათვის? თუ მის მშობლებს ცოდვა და ქართულს აღარ კადრუ[illegible]ბენ,

---

*) როდესაც ჩვენს მოსწავლე ახალთაობაზედ, განსაკუთრებით სტუდენტობაზედ, ჩამოვარდება ხოლმე ბაასი, მოკამათენი ხშირად უგულვებელჰყოფენ იმ პირობებს, რო [illegible]

◆ როგორც სოფ. ცხრუტიდან (ახალციხის მაზრა) გვატყობინებენ ამ სოფელში საქონლის ჭირი გაჩენილა.

◆ გუშინ-წინ, 25 მაისს, პუშკინის ქუჩაზე გაქანებულ ეტლ ქვეშ მოჰყვა ყმაწვილი (9—10 წლ.), რომლის ვინაობაც ჯერ ვერ გაუგიათ. დაშავებული საავადმყოფოში წაიყვანეს.

— —

დღევანდელ №-თან ერთად ხელის-მომწერლებს ურიგდებათ **სურათებიანი დამატება** № 222 შემდეგის შინაარსით: „ლუკას კაკარდა“, ი. ევდოშვილისა; „შეხვედრა“, მოთ. მარლინსილისა, თარ. ქ—სა; ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი, დ. პავლიაშვილისა; პორტრეტი პეტრე იოსების ძის უმიკაშვილისა; სურათები: „მთებში“—სტუარტისა, გემ „პეტროპავლოვსკ“-ის დაღუპვა, რუსის ჯარის სამგზავრო სამზარეულო, იაპონიის ჯარის გაცილება, იაპონიის დაღუპული გემი „ხაცუზე“ და ერთი კარიკატურა.

პეტრე უმიკაშვილი

(ნეკროლოგი)

უღმობელმა სიკვდილმა ამ ორის კვირის განმავლობაში ეს მეორე მოღვაწე გამოგვტაცა ხელიდან. ჯერ საბრალო იოსებ ბაქრაძის გვამი არ გაცივებულა და, ეხლა, ყველასაგან საყვარელ პეტრე უმიკაშვილის ცხედარიც უნდა მივაბაროთ მიწას. მართალია, ახლად გარდაცვალებული პეტრე უკვე 66 წლის მოხუცი იყო, მაგრამ მისი გარდაცვალება მაინც მოულოდნელად დაგვატყდა თავს. სულ ერთის კვირის წინ ჩვენი ტკბილი მოხუცი პეტრე, ჯანმრთელი და ახალგაზრდულ ოპტიმიზმით სავსე, ჩვეულებრივად შეთოთავდა —დროს დრამატიულ საზოგადოების კერძო კრება მოვიწვიოთ და ჩვენს თეატრზე მოვილაპარაკოთო, რომ მომავალ სეზონისთვის მოწესრიგდეს თეატრის საქმეებიო. ჩვენც ჩვეულებრივის ყურადღებითა და სიყვარულით ვუსმენდით პეტრეს და ვამშვიდებდით: „მოვასწრებთ, ბ-ნო პეტრე, მოვასწრებთ“. შეიძლება, ჩვენ მოვასწრებთ და მოვესწრებით, მაგრამ საბრალო პეტრეს აღარ დასცალდა კიდევ ერთხელ თავი გამოედვა მის საყვარელ თეატრისათვის...

და განა მარტო თეატრისათვის? განსვენებული ყველა ჩვენ საზოგადო საქმეებში იღებდა მონაწილეობას და, რამდენადაც ძალა-ღონე შესწევდა, ყველაფერს უწევდა დახმარებას. განსაკუთრებით-კი ლიტერატურასა და თეატრს ემსახურებოდა. მართალია, განსვენებული პეტრე უმიკაშვილი დიდის ნიჭის პატრონი არ ყოფილა და არც ლიტერატურაში, არც სათეატრო ხელოვნებაში დიდი განძი არ შეუტანია, მაგრამ შრომის მოყვარეობამ, ნამდვილ გულწრფელობამ და პატიოსნებამ, დაუღალავმა ხალისმა და სიყვარულმა სამშობლო ლიტერატურისა და თეატრისადმი—თვალსაჩინო სამსახური გასწევიეს ჩვენის ერის თვითცნობიერების გაძლიერების საქმისათვის...

მწერლობა პ. უმიკაშვილმა 1861 წელს დაიწყო, როცა 23 წლის ახალგაზრდა იყო და გიმნაზია ახლად დასრულებული ჰქონდა. მაგრამ, დაატყო-რა თავს, რომ მომზადება და განვითარება აკლდა, ისევ სწავლას დაუბრუნდა: 1864 წელს პეტერბურგს წავიდა უნივერსიტეტში ლექციების მოსასმენად და 1867 წლის შემოდგომამდე იქ დაჰყო სწავლასა და მეცადინეობაში. ჩამოვიდა თუ არა ტფილისს და ქართულ ენის მასწავლებლის ადგილი მიიღო, მაშინვე შეუდგა ისევ ლიტერატურულს შრომას, რომლისათვისაც სიკვდილამდის თავი აღარ დაუნებებია. მესამოცე წლების „დროება“ და „კრებული“-დან დაწყებული ჩვენის დროის „ცნობის ფურცლის“-ა და „მოამბე“-მდე განსვენებული ყველა პერიოდულ გამოცემებში სწერდა ათას სხვა-და-სხვა საჭირ-ბოროტო საქმე-საკითხებზე. ამავე დროს განსვენებული ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებაზედაც ჰფიქრობდა და 1872 წლიდან ამ საქმესაც მიჰყო ხელი. რათა უბვევ ხალხს შეჰყვარებოდა წიგნი, პეტრემ შეიმუშავა ტექსტები ისეთ თხზულებათა, რომლებსაც ხალხი იცნობდა და რომლებიც უფრო ადვილად გავრცელდებოდა. ასეთი თხზულებები იყო: რჩეული არაკები სიბრძნე-სიცრუისა, სახალხო ლექსები, არსენა, ქალ-ვაჟიანი, ალექსიანი, ბეჟანიანი და სხვა. ეს წიგნაკები ასი ათას ცალად გავრცელდა ხალხში და ქართულ ლიტერატურას ბევრი ახალი მკითხველი შესძინა. ამავე დროს პ. უმიკაშვილი, ან მარტო ან სხვებთან ერთად, მუშაობდა ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოსაცემად. მის რედაქტორობით ან მონაწილეობით მე-70 და მე-80 წლებში გამოიცა ისეთი თხზულებანი, როგორიც არიან: საბა სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუე“, დავ. გურამიშვილის „დავითიანი“, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანის ლექსები, „ვისრამიანი“, ქართული ანდაზები, მეფის ვახტანგის დასტურლამალი და სხვ. მე-70 წლებშივე პეტრე უმიკაშვილი შეუდგა ერთს მეტად მძიმე და ფრიად საჭირო საქმეს: ჩვენის ხალხის გონების ნაწარმოებთა შეგროვებას. ვინ არ იცის, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის ზეპირ-სიტყვაობის შეკრებას და შესწავლას მეცნიერებისა და მწიგნობრობისათვის? დიდი და მეტად დიდი დანაკლისია, რომ ჩვენ აქამომდე არ შეგვიგროვებია ხალხური ნაწარმოებები, რაც განსვენებულს კარგად ესმოდა და რისთვისაც შრომობდა კიდეც: ყველამ ვიცით, რომ მას შეგროვილი აქვს ამისი დიდი განძი და ბევრს ჩვენგანს გაუგონია პეტრესგან ამ ბოლო ხნებშიაც: ცოტა კიდევ დამაცადეთ და ამ განძსაც გამოვცემო. საბრალოს აღარ დასცალდა საყვარელ საქმის შესრულება, მაგრამ ისიც დიდი ღვაწლია, რომ ამ საქმის განხორციელება მაინც გაგვიადვილა. ჩვენც მადლობა გვმართებს და არ იქმნება ურიგო, მისის სახელით მოვნათლოთ მომავალი გამოცემა ქართველ ხალხის ზეპირ-სიტყვაობისა.

ასეთისავე სიყვარულით და ყურადღებით განსვენებული ეკიდებოდა ქართულ თეატრის საქმესაც. პირველად (მე-70 წლებში) იგი კიდეც თამაშობდა, ხოლო როცა მუდმივი დასი დაარსდა, პეტრე მუშაობდა ან თეატრის ადმინისტრაციაში ან რეპერტუარის გაძლიერებისათვის. მას ეკუთვნის ორიგინალური—„მისანი“, „დამარცხებულნი“, „მახლასა ჯოჯოხეთში“, ცნობილი „სამზადისი“, „ბენეფისის წინ“ და სხვა-და-სხვა გადმოკეთებულ-გადმოთარგმნილები..

აი მოკლედ ახლად გარდაცვალებულის შრომა და ღვაწლი. მას ღრმა კვალი არ დაუმჩნევია ჩვენის სამწერლო საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის, მაგრამ იმას ვერ დავივიწყებთ, რომ განსვენებული მეტად მშრომელი, მუყაითი, გულ-წრფელი მოჭირნახულე იყო და მისმა ღვაწლმაც თავისი საპატიო როლი აღასრულა ჩვენის ერის გამოფხიზლების საქმეში.

საუკუნოდ იყოს მისი ხსენება.

ქუთაისის ახალი ამბები

—

◆ დღეს, 27 მაისისათვის დანიშნულია ქუთაისის სათავადაზნაურო-მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება. სხვა ჩვეულებრივ საქმეთა შორის კრებაზე უნდა არჩეულ იქმნენ: ზედამხედველ კომიტეტის ორი წევრი და ერთი დირექტორი იმათ ნაცვლად, რომელთაც წელს თავი უნდა დაანებონ სამსახურს, წარსულის წლის მოგების განაწილება საზოგადო საჭიროებებზე და სხ.

◆ ქალაქის გამგეობას უკვე მოუვიდა ნებართვა ქუთაისში ორის პირველ დაწყებით სასწავლებლის დაარსების შესახებ. როგორც გავიგეთ, მომავალ სამოსწავლო წლიდან მთავრობა თავის მხრითაც აპირებს გახსნას ქუთაისში ორი პირველ დაწყებითი სასწავლებელი.

◆ ახალ-სენაკის ნოქრებს შუამდგომლობა აღუძრავთ გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ კვირა დღეებსა და თორმეტ უმთავრეს დღესასწაულებში სავაჭროები დაიკეტოს ხოლმე მთელის დღით; თუ მთელის დღით არ შეიძლება დაკეტვა, მაშინ გაიღოს მხოლოდ ორის საათით, 12-დან ნაშუადღევის 2 საათამდეო.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთათურ ებრაელებს უთხოვნიათ ქალაქის საბჭოსთვის, კვირა დღეებში განგვათავისუფლეთ სავაჭროების დაკეტვისაგანო.

◆ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკს ერთი ცუდი ჩვეულება სჭირს: ოცის წლის წინად ზოგიერთ მოსამსახურეებისთვის რომ ჯამაგირი დაუნიშნავს, დღესაც ამ ჯამაგირს აძლევს, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ბანკის საქმეებმა ერთი-ორად იმატა და მოსამსახურეთ ერთი-ორად მეტი შრომა დააწვათ კისერზე; ცხოვრება-კი წინანდელთან შედარებით ძლიერ გაძვირდა. როგორც გავიგეთ, მოსამსახურეებს თხოვნა მიურთმევიათ გამგეობისთვის, გვიშუამდგომლეთ მომავალ რწმუნებულთა კრების წინაშე, რომ ჯამაგირები მოგვიმატონო. იმედია, რწმუნებულთა კრება უყურადღებოთ არ დასტოვებს მოსამსახურეთა სამართლიანს თხოვნას და მათს შრომას ღირსეულად დააფასებს.

◆ ორშაბათს, 31 მაისს, ქალაქის გამგეობის დარბაზში ვაჭრობით გაიცემა ტფილისის ქუჩის მოკირწვლა.

რუსეთის ქრონიკა

—

◆ აღძრულია საკითხი, რომ გადასინჯულ იქნას არსებული კანონები ტიპოგრაფიების, ლიტოგრაფიების და ცინკოგრაფიების გახსნისა და ექსპლოატაციის შესახებ.

◆ მოსკოვში ხმა გავრცელდა, იაპონელთა ფლოტი ვლადივოსტოკისკენ მიდის და ზარბაზნები უნდა დაუშინოსო, მცხოვრებლები ქალაქიდან გასაქცევად ემზადებიანო და სხ., ამიტომ მოსკოვის ერთმა სავაჭრო სახლმა დეპეშა გაუგზავნა თავის წარმომადგენელს ვლადივოსტოკში, მართალია ეს ხმები თუ არაო, და შემდეგი პასუხი მიუღია: „ყველა აქაურ მცხოვრებთა აზრით, შემოდგომამდის საშიშარს არაფერს უნდა მოველოდეთ. არც ერთი სავაჭრო სახლი არ დახურულა ვლადივოსტოკში“.

◆ გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, ამიერ-კავკასიის უმთავრეს ქალაქებიდან,—ბათუმსა, ტფილისსა და ბაქოდან,—შემოიღოს პირდაპირი მიმოსვლა სამგზავრო მატარებლებისა უცხოეთის რკინის გზებამდის.

◆ რუსეთ-იაპონიის ომს ციმბირის ერთი გაზეთის რედაქციაც საომარ ფეხზე დაუყენებია. „ნიკ. უსს. ლისტ.“-ის რედაქცია აცხადებს თავის სარედაქციო წერილში: „ჩვენ გაზეთში ამ ბოლო დროს დაბეჭდილმა ფელეტონმა ზოგიერთი პირები ვანარისხა და აამხედრა ჩვენს წინააღმდეგ. რედაქციაზე იერიშის მოტანას და გალახვას გვემუქრებიან. ვაცხადებთ ამ პირთა საყურადღებოდ, რომ ყველა ეს უკვე სათანადო მთავრობას ვაცნობეთ და რედაქციაში მზადა გვაქვს ჩვენ მტრების მოსაგერებლად საჭირო იარაღი—რევოლვერი“.

წერილები

—

კახეთი. სიმშვენიერით ქებული გაზაფხული თავდება, თუმცა სახელისა არა ეცხო რა და უფრო სუსხიან მარტის თვეს მოგვაგონებდა. მაისის ბოლო რიცხვებია, ზაფხული კარზე გვადგია და ჯერ ერთმანეთზე სამი უავდრო დღე არ გვინახავს. ცა ყოველთვის მოღრუბლულია და გომბორის მთა ნიადაგ მოქუშული გამოიყურება. ამასთან შესაფერად ციოდა კიდეც, სითბო 5—6-⁰ ჩამოდიოდა, კავკასიონის ქედი ხელმეორედ ჩამოსთოვა და გომბორის მთაზედაც თოვლი მოსჩანდა. ავდარმა თავი მოგვაბეზრა და ყველას საქმე გაგვიპირა: მცხოვრებთ, მომუშავეებს, საქონელს, ჭირნახულს და სხვას. მთესველს ძლიერ შეუშალა ხელი გაზაფხულის ნათესობაში. ავდრებისა გამო გაზაფხულის პირზე საქონელს ისევ ხმელ საკვებზე მოუხდა ყოფნა. საქმის დრო დადგა, მაგრამ ულონო საქონელი სამუშაოდ ვერ გაიყვანეს და არც დარი უწყობდა ხელს. ბევრს წვიმაში მოუხდა მინდვრად მუშაობა. ვაზსაც კარგა ხანია შეწამვლის დრო დაუდგა და ძლიერ ეპირვება დარი, მზიანი დღები. უმრავლესობას ჯერ ერთხელაც არ შეუწამლავს და თუ როგორმე ერთი ორი დღე დარი გამოვიდა და მოწამლეს, ისიც უქმად ჩაუარათ: მალე მოსულმა წვიმამ სულ ჩამორეცხა. გოგირდს ხომ კვირტის გამოსვლის უმალვე უბერავენ, რათა ნაცარი თავიდან აიცილონ, მაგრამ აქაც უამინდობა უშლის ხელს. ამას გარდა რამდენჯერმე ძლიერი ქარი ჰქროდა და ვაზს რქა დაუზიანა, ნამეტნავად შეუყელავს. ჩვეულებრივი სტუმარი—სეტყვაც ეწვია და ოქიოს საზოგადოებაში რამდენიმე სოფელი დასეტყვა, ზოგი ძლიერ დააზარალა. ეს მხარე ცივ-გომბორის მთის ძირში—სეტყვის ბუდეში იმყოფება და თითქმის ყოველ წელს ისეტყვება. შარშან ამ მხრის მცხოვრებნი როგორც თავად-აზნაურნი, ისე გლეხნი, ძლიერ მოწადინებულნი იყვნენ სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველად მორტირები შეეძინათ, ამაზე განაჩენებიც დაადგინეს, მაგრამ ეს განაჩენები განუხორციელებელი ქაღალდზე დაწერილი დარჩა. მთის ხევები, რომლებიც მრავლად მოიპოვება კახეთში, დიდად ხელს უშლის შირაქიდან თრიალეთზე მიმავალ ცხვარს. წვიმების გამო ამ ხევებში იმდენი წყალია, რომ ცხვარი ვერ გადის, აქცევს და მიაქვს. ამისთვის მეცხვარეები წყალში დგანან, იჭერენ და ხელით გამოჰყავთ ნაპირზე. ხევებისა გამო, როგორც გადმოგვცეს, ბევრი წისქვილი შეჩერებულია, წყალი ვერ მიუგდიათ თურმე, რადგან ჰხრამავს და აფუჭებს, თუმცა-კი არც საფქვავია ბლომად. შარშან ბევრ სოფელში სეტყვის გამო პურის მცირე მოსავალი მოვიდა და პური ბევრს შემოაკლდა. ეხლა თელავის ბაზარში დღე-დღეულობით ყიდულობენ ზოგჯერ ფქვილს, ზოგჯერ გამომცხვარს და ასე რჩებიან ახალ მოსავლამდე. ყანებს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს და კიდევ, ვინ იცის, როგორც შეუწყობს ბუნება ხელს, მხოლოდ სიმინდი ბევრმა იმდენი ვერ დათესა, რამდენიც უნდოდა უამინდობისავე გამო.

დიმიტრაშვილი.

—

ს. სვირი (იმერეთი). გაზაფხულისა წელს არა გაგვიგია-რა: სულ წვიმები და ცივი ამინდები იყო. ვენახებს ჯერ-ჯერობით არა უშავს-რა, მოსხმითაც კარგად ასხია, თუ უწამლობით არ წაუხდათ. შაბიამნის ყიდვა ვერ მოუხერხებიათ ღვინის გაუყიდველობის გამო, ღვინის მაზანდა ძლიერ დაეცა, საპალნე (12 ფუთია) კარგი ღვინო ოც მანეთს არ აღემატება: შარშან ამისთანა ღვინოს ორმოც მანეთად ჰყიდდნენ, მაგრამ წელს ამ ფასებში მყიდველიც არსად არის და ფიქრობენ, ღვინო რომ გაუყიდველი დარჩეთ, ახალ მოსავლისა სადღა უნდა წაიღონ.

იუსტინე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშა სააგენტოსაგან)

25 მაისი.

ლონდონი. სომხეთში მომხდარ უწესოების შესახებ შეკითხვაზე ბერსიმ განაცხადა, რომ ოსმალეთის მთავრობამ მიიღო წინადადება, რომლის თანახმად რუსეთის, საფრანგეთის და ინგლისის კონსულებს, როგორც შუამავალთ, ერთად უნდა ემოქმედნათ. ინგლისისა და საფრანგეთის კონსულები მაისის პირველ რიცხვებიდან მუშში არიან, ელიან ბითლისიდან რუსეთის კონსულს. კონსულებისათვის საძნელო საქმეა მოლაპარაკების გამართვა მეამბოხეთა ბრბოებთან, მაგრამ ევროპიელ წარმომადგენელთა დასწრებას უეჭველია უკვე კეთილი შედეგი მოჰყვა. კონსულებმა ბრძანება მიიღეს დარჩნენ მუშში, სანამ შეუძლებელი არ გახდება ახალი რევოლიუციონური მოძრაობა და საჭირო აღარ იქნება ახალ სამხედრო ზომების მიღება.

კიევი. 24 მაისს, შუაღამეს, სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზების სადგურ ფასტოვოზე ბელაია ცერკოვიდან წამოსული საქონლის მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს, რომელიც სადგურთან იდგა. დაიმსხვრა 4 ვაგონი საქონლით დატვირთული და ერთი პლატფორმა. დაზიანებულია სამი პლატფორმა და ორთქლმავალი. მემანქანე დაშავდა. უბედურებას მეისრეს აწერენ.

კოროსტიშევი. 25 მაისს გადაიწვა მთელი დაბა კოროსტიშევი (კიევის გუბერ.). დაიწვა გლეხების ბევრი სახლი. მოედანზე გამოტანილი ნივთებიც დაიწვა. რამდენიმე კაციც იმსხვერპლა

სხ.), სრულიად გაუჭირვებლად შეუძლიან სამ-ოთხის წლის განმავლობაში დიად ჩინებულად შესწავლა დედა-ენისა და მშობლიურ მწერლობისა. ან-კი ბევრი რა ექნება შესასწავლი: ათიოდე კლასიკური თხზულება თუ მოგვეპოვება (დაბეჭდილი და, მაშასადამე, ყველასათვის ხელმისაწვდომი) და მათი შესწავლა რა გასაჭირი უნდა იყოს! სრულიად არავითარი, ვისაც-კი სურვილი აქვს.

ზოგიერთ სტუდენტისაგან გაგვიგონია,—რა ვქნა, ქართულის შესწავლა-კი მწადიან, მაგრამ როგორ მივჰყო ხელი, არ ვიცი: ყველა წიგნის შეძენა არ შემიძლია, ძვირად დამიჯდება; ჩვენს წიგნთ-საცავში-კი თითო ცალი მოგვეპოვება, რას გაგვიხდება 100—150 კაცსა. ამის პასუხად, აი, რა მოსახსენებია მათთვის კერძოდ, და ესევე უნდა მოვახსენოთ ყველას საზოგადოდ: იმ საუკეთესო ქართულ თხზულებათა შესაძენად, რომელთა შესწავლა ქართულ ენასაც ჩინებულად შეასწავლის კაცსა, სულ 20—25 მანათია საჭირო. ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ სტუდენტობას და მათ ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ ჯერ არ შევხვედრივართ ისეთ დატაკ სტუდენტს, რომელსაც 4—5 წლის განმავლობაში არ შეეძლოს ეს მცირე თანხა გამოეტოს ქართულ წიგნებისათვის. ან-კი როგორ უნდა უწოდოს თავის თავს განათლებული, შეგნებული კაცი ისეთმა ქართველმა, რომლის ოჯახშიაც არ მოიპოვება ვეფხის-ტყაოსანი, ვისრამიანი, ქილილა და დამანა, ამირან დარეჯანიანი, დავითიანი, ნ. ბარათაშვილისა, გრ. და ვახ. ორბელიანებისა, ი. ჭავჭავაძისა, ა. წერეთლისა, ა. ყაზბეგისა, დ. ჭონქაძისა და გ. წერეთლის თხზულებანი? არა, ბატონებო, ასეთ კაცს გინდ ჩინელი უწოდეთ, გინდ ყიზილბაში, გინდ ჰოტტენტოტი, მაგრამ ქართველს-კი ნუ უწოდებთ,—ეს შეცდომა იქნება. *).

გ.—ელი.

---

*) როგორც მოგახსენეთ, საუკეთესო ქართულ თხზულებათა შეძენა ძვირად არ დაჯდება, მაგრამ ხელმოკლე სტუდენტობის უმრავლესობას არც ამ ფულის გაღება შეუძლია ერთბაშად; ამისათვის საჭიროა, რომ მათ შეღავათიანის პირობებით დაეთმოთ წიგნები. აი, როგორ: თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი მოსწავლენი შეადგენენ ერთს წრეს (იშვიათად ორს), ამ წრეს შეუძლია თავის წარმომადგენელის პირით მიჰმართოს „ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოებას“, „წიგნების გამომც. ქართველთა ამხანაგობასა“ და კერძო გამომცემელთ,—გთხოვთ ამდენი და ამდენი ცალი თქვენი გამოცემებისა ფას-დაკლებით დაგვითმოთ და ფულის გადახდაც ნაწილ-ნაწილად შეგვაძლებინოთო, მაგ., ყოველ თვიურად თითო, ან ორ-ორი მანათი იხადოს იმ მოსწავლემ, რომელიც წიგნებს გამოიწერს. ამგვარად არც გამომცემელთ დაეკარგებათ საქონელი მუშტარზედ, რადგან მთელი წრე იქნება თავმდებად, და აღარც არავის ის ექნება სათქმელად,—წიგნები მინდა, მაგრამ უილაჯობის გამო ვერ შემიძენიაო (თვეში თითო მანათს ყველა მოირჩენს ასეთ საქმისათვის).

ცეცხლმა. მცხოვრებელნი დიდ გაჭირვებაში არიან. ვსთხოვთ გულ-კეთილ პირებს შემწეობა აღმოგვიჩინონ. შემოწირულებანი კომიტეტს უნდა გაეგზავნოს.

მოსკოვი. ყველა ეკკლესიაში პარაკლისი გადაიხადეს ხელმწიფე დედოფლის ალექსანდრა თეოდორეს ასულის დღეგრძელობისათვის. ქალაქი ბაირაღებითაა შემკული.

ბრემენი. მიჰყიდეს იაპონიას გერმანიის სანავოსნო საზოგადოების „განზა"-ს გემი „ჰოხემერი".

გიბრალტარი. ინგლისის ჯავშნიანი გემი მიდის ტანჟერში. ხმებია, რომ საფრანგეთის ხმელთაშუა ზღვის ესკადრაც იქ წავა.

სოფია. მაკედონიიდან მოსულ ცნობებით, ოსმალები ისევ მხეცურად ეპყრობიან ოხრიდის ქრისტიან მცხოვრებელთ. ხალხი დამშეულია. იმ ოლქებიდან, სადაც უცხოელი ჟანდარმერია მოქმედებს, კარგი ამბები მოდის. აქაურმა მაკედონელთა წრეებმაც აღიარეს, რომ იქ მცხოვრებელთა მდგომარეობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა.

სიმბირსკი. გაიხსნა გუბერნატორის თავმჯდომარეობით საბჭო საგლეხო კანონმდებლობის გადასასინჯავად.

სტარაია რუსსა. პარაკლისის შემდეგ დაიწყო სამკურნალო სეზონი.

რომი. ნეაპოლის ნაციონალურ მუზეუმის დირექტორი პაისი გადააყენეს სამსახურიდან იმ უწესოებათა გამო, რომელიც მან სამსახურში ყოფნის დროს ჩაიდინა. დეფიციტი 300 ათასი ლირაა.

ვაშინგტონი. ადმირალ ჩედვიკი იუწყება, ინგლისის ელჩი, მაროკკოში მყოფი, შუამდგომლობს ლონდონში, რომ ინგლისის სამხედრო გემი გამოგზავნონ ტანჟერს, სადაც სულთანის მოსვლას ელიან.

ვენა. ერცჰერცოგი ფრიდრიხი თავისს ამალით ლონდონს წავიდა.

26 მაისი

კალკუტა. აქედან ამ მოკლე ხანში მიდის ინგლისის მისია ქაბულში, რადგან ავგანის ემირის მოქმედებას წუნსა სდებენ. ამბობენ, რომ ემირმა უარი გამოაცხადა, აღარ მივიღებ ამას იქით ჩემთვის ინდოეთის მთავრობისაგან დანიშნულ ყოველ წლიურ ფულით შემწეობასაო. ამისა და კიდევ სხვა საყურადღებო საკითხთა შესახებ უნდა იქონიოს მისსიამ მოლაპარაკება ემირთან.

სიმლა. („რეიტ. სააგ."). ტიბეტელებმა იერიში მიიტანეს კანგუასთან მყოფ რაზმებზე, ინგლისელებს მოუკლეს 1 კაცი და დაუჭრეს 5. ტიბეტელებმა დასტოვეს ბრძოლის ველზე 164 მოკლული.

სიმლა. („რეიტ სააგ."). 13 ივნისისათვისაა დანიშნული ინგლისის ექსპედიციის გამგზავრება ლხასსის წინააღმდეგ.

სტამბოლი. სულთანს სურს უბოძოს ავსტრიის იმპერატორს ამ რამდენიმე წლის წინად დაარსებული ორდენი ოსმალეთის სამეფო სახლისა. ეს ორდენი, ოსმალეთის პრინცების გარდა, აქვთ გერმანიის იმპერატორს და ინგლისის მეფეს. ივნისის ბოლო რიცხვებში წავა ვენაში განსაკუთრებული მისსია, რომელმაც უნდა გადასცეს იმპერატორს ეს ორდენი.

ჰამბურგი. ორის გემით გაიგზავნა სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის გერმანულ კოლონიებში ჯარი და ცხენები. სულ წავიდა 50 აფიცერი და 330 ჯარის კაცი.

ბელგრადი. გამოცხადებულია, რომ 1 (14) ივნისიდან ბოლგარიაში მიმავალთათვის საპასპორტო წესები მოისპობაო. დედოფალმა ნატალიამ და დედოფლის დრაგას დებმა განკარგულება მოახდინეს, რათა 29 მაისს პანაშვიდი იქნას გადახდილი წმ. მარკის ეკლესიაში მოკლულ მეფე ალექსანდრესა და დრაგას სულის მოსახსენებლად. მთავრობამ არ დააკმაყოფილა დედოფლის ნატალიას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ 29 მაისს საკათედრო ტაძარში პანაშვიდი იქნას გარდახდილი თავად მიხეილ ობრენოვიჩის სულის მოსახსენებლად. სტუდენტები მართავენ 29 მაისს დიდ კრებას უმაღლეს სასწავლებელში. საღამოს გაიმართება წვეულება ბოლგარიის აფიცერთა საკრებულოში.

პარიზი. პალატამ მიიღო პირველი მუხლი კანონისა ორის წლის სამხედრო ბეგრის შესახებ, რომლის ძალით ყოველი ფრანგი მოვალეა პირადად აასრულოს სამხედრო ბეგარა. შემდეგ მიღებულ იქნა 437 ხმით (133 ხმის წინააღმდეგ) კანონის მეორე მუხლი, რომლითაც გაუქმებულ უნდა იქნას ყველა შეღავათი, რომელიც სამხედრო ბეგარას შეეხებოდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ძლიერ იაფად
იყიდება ძველი წლების
„ჯეჯილები"
არტილერიის ქუჩა № 5. (3—220—1)

გენერალნოე ობშჩესტვო
(Генеральное общество)
სიცოცხლის და სიკვდილამდის შემოსავალთა დაზღვევისა
აძლევს დამზღვევთ:

1) შეურყეველ გარანტიას, რომ უზრუნველჰყოფს ყველა ნაკისრ მოვალეობას; ამ გარა-ტიას წარმოადგენს: ა) საზოგადოების ძირითადი თანხა სამი მილიონი მანათისა (3.000.000); ბ) სათადარიგო თანხა, რომელიც სდგება საზოგადოების წმინდა მოგებიდან 10% გადადებით; გ) პრემიების სრულის სათადარიგო ჯამისაგან, რომელიც ინახება, მთავრობის ფაქტიურ კონტროლით, თანახმად 1898 წ. 11 მაისის კანონისა;
2) სრულს ხელშეუხებლობას პოლისებისას და ყველა იმ ფულისას, რომელიც დამზღვევთ საზოგადოებიდან ერგებათ, არესტისაგან, გადაცემისაგან და სხვა;
3) უსათუოდ უცილებლობას პოლისებისას დაზღვევიდან 1 წლის შემდეგ.
4) პოლისების დაურღვევლობა დაზღვევიდან 3 წლის შემდეგ, ესე იგი, სამის წლის შემდეგ დამზღვევს ნება აქვს, თუ ჰსურს, შეაჩეროს გადასახადის შეტანა საზოგადოებაში და მიუხედავად ამისა, დარჩეს დაზღვეულად ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივად;
5) პასუხის გებას, თუ დაზღვეულმა თავი მოიკლა.
6) მოგზაურობის სრულს თავისუფლებას;
7) სამსახურისა და პროფესიის სრულს თავისუფლებას;
8) პრემიების სიიაფეს;
9) განთავისუფლებას გადასახადებიდან, რომელიც საჭიროა პოლისების დასამზადებლად და აგრეთვე საგერბო გადასახადებისაგან;
10) უფლებას დაზღვევისათვის გადასახადის თვიურად შემოტანისას;
11, საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის ნებას იმის მიხედვით, თუ რამდენი ექნება დამზღვევს შეტანილი პრემია;
12) სესხს იმ პოლისების გირაოთი, რომელთაც 3 წლის განმავლობაში ძალა ჰქონდათ; სესხი გაიცემა 6%-ით;
13) უფლებას შეაჩეროს დროებით დაზღვევა და შემდეგ, თავისავე სურვილის თანახმად, კვლავ აღადგინოს იგი;
14) სამის თვის შეღავათს სავალდო პრემიის დადასახდელად და სხვ...

საზოგადოების **გამგეობა** იმყოფება პეტერბურგს, ნევსკი პრ., 23. **ამიერ-კავკასიის ოლქის მმართველობა** ტფილისშია, გოლოვინის პრ., ოქოევის სახლი, ტელეფონი № 429.
აგენტები არიან ოლქის ყველა უმთავრეს ადგილებში. (100—14)

სანთელი „ჩუდო" (სასწაული)
გაზით გაღუებული საუკეთესო ლამპა
ახლანდელის დროისა.
ამგვარისავე კონსტრუქციის დასაკიდებელი და კედლის ლამპები, აგრეთვე ფარნები ქუჩებისა, მოედნებისა, ბაღებისა და სხვათა გასანათებლად.
ერთად ერთი საწყობი ამ ლამპებისა აქვს **ბობილევს** ტფილისში, ალექსანდრ. ბაღის პირდაპირ, სასტუმრო „გრანდ-ოტელის" გვერდით.
ფასი 8 მანეთი. (3—№63—2)

ტრიოხგორნი ლუდხანის ამხანაგობა მოსკოვში
ყოველ დღე ამზადებს 3.500,000 ვედრა საუკეთესო ხარისხის ლუდს, რომელიც დაჯილდოვებულ იქმნა სახელმწიფო გერბით 1882 და 1896 წ. წ. გამოფენაზე. ამხანაგობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ განიზრახა ყოველ დღე მიაწოდოს ადგილობრივ მომხმარებელთ ახლად დამზადებული ლუდი რაც შეიძლება ნაკლებ ფასად და ამიტომ დააწესა ლუდის გამოგზავნა ტფილისში საკუთარ საყინულე-ვაგონებით. ტფილისში ნარდათ სავაჭრო ცენტრალური საწყობი ურჩევს მსურველთ იყიდონ ხოლმე უმაღლეს ხარისხის ლუდი:
სუფრაზე სახმარებელი (თეთრი) დაწესებ. ფასი მაღაზ. 15 კაპ. ბოთლი (1/20) უჭურჭლოდ.
კულმბახის (შავი) " " " 16 " " " "
ბოთლები ფირმისა სახელმწიფო გერბით არის, კაპსიულებით. ცენტრალურ საწყობის კანტორა თავის თავზე იღებს ლუდის სახლში მიტანას: სუფრაზე სახმარებლისა 14 კაპ. ბოთლი, კულმბახისა 15 კაპ. ბოთლი (1/20 ვედრისა), ჭურჭლის ბე 6 კაპ.
ადრესი: პუშკინის ქუჩა, № 11, წურინოვის პასსაჟი. **ტელეფონი № 1013.**
შენიშვნა: ტფილისს გარეშე მყიდველთ, თუ მოისურვებენ, ლუდი გაეგზავნებათ პასტერის სისტემით დაწმენდილი (ექსპორტ) და ღვინის ჭურჭლებში ჩასხმული. (50—35—3)

ჩემის ვაჭრობის მოსპობის გამო
ამა წლის 22 აპრილიდან ვნიშნავ უკანასკნელ გაყიდვას, საფაბრიკო ფასებზე დაბლა, ჩემს სამებელო მაღაზიაში, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ, ხაზინის გვერდით.
გადაჭრილი ფასებია დანიშნული.
ნარდათ მყიდველებს ვთხოვ პირდაპირ მე მომმართონ.
(60—189—21) პატივისცემით ბ. გ. ბერიევი

СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სოპრანინის ახლოს. (წ.—176—26)

ცნობილი დრეზდენელი თერძი
კ. პ. კრუივძინსკი
ტფილისი, პუშკინსკი პასსაჟი, № 18/20
ახალ ტანისამოსების—სამხედრო, სამოქალაქო და ქალების კაბების—შეკერვის გარდა იღებს ყოველგვარ **ძველ ტანისამოსის გაახლების** საქმესაც, უკანასკნელის სისტემით, როგორც მიღებულია პარიზის ლაბორატორიაში. იქვე იყიდება ქალის კაბების ვიკროიკები. (5—35—5)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით, და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში.
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარედ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ"-ის საწყობში.
ტელეფონი № 346 ერევნის მოედანი. (60—6.—36)

Доз. цензурою. 23 Мая 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ-ბის. Электропеч. Груз. Изд. То—тва.